

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N150

ქ. ქობულეთი

ერთი მხრივ, ქობულეთის მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მირიან ქათამაძის სახით და მეორე მხრივ, შპს „გელმარი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ვადაქარიას სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე, ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე (NAT200012555) ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში- „ხელშეკრულება“) შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დანართი და დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაცია, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით ჯეროვნად შესრულებისათვის;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“- პირი რომელიც ახორციელებს სამუშაოს მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. „დღე“. „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „სამუშაო“- ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა“ – მიმწოდებლის მიერ ელექტრონული ტენდერის ფარგლებში წარმოდგენილი „შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა“ რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, მიმწოდებელი ვალდებულია განახორციელოს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში გარე განათების მოწყობის სამუშაოები (CPV კოდი: 45300000 - სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები; 45316100 - გარეგანათების მოწყობილობების მონტაჟი, 45316110 - გზის განათების მოწყობილობების

მონტაჟი) (შემდგომში - სამუშაოები და/ან ობიექტი) წინამდებარე ხელშეკრულების და მისი დანართების შესაბამისად.

2.2. შესასრულებელი სამუშაოების ზუსტი დასახელება, ერთეულის ფასი და მთლიანი ღირებულება განისაზღვრება ხარჯთაღრიცხვით, რომელიც გაფორმებულია ხელშეკრულების დანართი N1-ის სახით, თან ერთვის წინამდებარე ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს

2.3. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით, დანართ(ებ)ით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2.4. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოები განახორციელოს საკუთარი მასალით, რისკით, ძალებით, ხელსაწყოებითა და მექანიზმებით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 48 958.97 (ორმოცდარვა ათას ცხრაას ორმოცდათვრამეტი ლარი და ოთხმოცდაჩვიდმეტი თეთრი) ლარს, დღგ-ს გათვალისწინებით.

3.2. ამ მუხლის 3.1. პუნქტში მითითებული ხელშეკრულების ღირებულება საბოლოოა და არ ექვემდებარება შეცვლას. იმ შემთხვევაში, თუ შემცირდება შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა, პროპორციულად შემცირდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებსა და გადასახდელებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.

4.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს შემდეგი წესის შესაბამისად:

ა) ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების ხელშეკრულების მე-5 მუხლით განსაზღვრული წესით მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველის შესაბამისი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნების ფარგლებში;

ბ) საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, შესრულებული სამუშაოების შესახებ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3. მიმწოდებლისათვის შუალედური აქტების და მის საფუძველზე განხორციელებული ანგარიშსწორება არ უნდა იქნას განმარტებული, როგორც გარკვეული სახის სამუშაოების საბოლოო მიღება ან/და შემსყიდველის უარი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების ყველა პირობის შესრულების მოთხოვნის უფლებაზე. შესაბამისად მოცემული ფაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს უხარისხოდ შესრულებული სამუშაოს გამოსწორების ვალდებულებისაგან და ყველა დანადგარზე, მასალასა თუ შესრულებულ სამუშაოებზე პასუხისმგებლობისაგან.

4.4. მხარეთა შეთანხმებით, შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების მე-10 მუხლით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში მას შემდეგ, რაც მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის გაფორმებული იქნება ხელშეკრულების ღირებულების არანაკლებ 20%-ს ღირებულების სამუშაოებზე შუალედური მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც დადასტურებული იქნება ფორმა 2-თა და მიღება-ჩაბარების აქტით. მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს არანაკლებ იდენტური ოდენობის გარანტია. მიმწოდებელმა წერილობით უნდა დაასაბუთოს ავანსის საჭიროება. მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%-ს.

4.5. შემსყიდველის მიერ ავანსად გადახდილი თანხის გამოქვითვა განხორციელდება მიმწოდებლის მიერ ანგარიშსწორებისათვის წარმოდგენილი ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მოცულობების ღირებულებიდან 50%-ის ოდენობით, ყოველ წარმოდგენილ შესრულებაზე, გარდა ბოლო შესრულებისა. ბოლო ანგარიშსწორებისას განხორციელდება დარჩენილი ავანსის ღირებულების სრულად დაქვითვა. ამასთან, იმ შემთხვევაში როდესაც ფაქტიურად შესრულებული და ავანსად გადახდილი თანხის ჯამური ოდენობა უთანაბრდება სახელშეკრულებო ღირებულებას, გადახდილი ავანსის დაქვითვა შესაძლებელია განხორციელდეს სრულად, შესრულებული სამუშაოების მოცულობის პროპორციულად.

4.6. შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს მიმწოდებლისათვის გადასახდელი საზღაურის გადახდა ქვემოთ მოცემული რომელიმე გარემოების დადგომის შემთხვევაში (აღნიშნული პუნქტი არ ეხება 5.3. პუნქტით გათვალისწინებულ წესს):

ა) მიმწოდებელი არ ასწორებს უხარისხოდ შესრულებულ სამუშაოს, შემსყიდველისაგან უხარისხოდ შესრულებელი სამუშაოს შესახებ შეტყობინების საფუძველზე.

ბ) მიმწოდებელი არ ასრულებს მნიშვნელოვან სახელშეკრულებო მოვალეობას, რომელიც საფრთხეს უქმნის სახელშეკრულებო ვალდებულების შეთანხმებულ ვადაში ჯეროვან შესრულებას.

4.7. 4.6. მუხლით გათვალისწინებული გარემოების მიზეზების აღმოფხვრისა და გამოსწორებისთანავე შემსყიდველი მოვალეა განახორციელოს შეჩერებული საზღაურის გადახდა. ამასთან, გადახდის ასეთი შეფერხებისათვის მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს შემსყიდველისაგან რაიმე დამატებითი შესრულება.

4.8. თუ მიმწოდებელი არ გაასწორებს ან უარს განაცხადებს 4.6. მუხლით განსაზღვრული გარემოების გამოსწორებაზე, მაშინ შემსყიდველს უფლება აქვს, დაუყოვნებლივ მოშალოს ხელშეკრულება ან თვითონ უზრუნველყოს ასეთი გარემოების გამოსწორება/აღმოფხვრა, რის შესახებაც ატყობინებს წერილობით მიმწოდებელს. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია გამოქვითოს მიმწოდებლისათვის გადასახდელი თანხისაგან მის მიერ გაწეული ხარჯები. ამასთან, გადახდის ასეთი შეფერხებისათვის მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს შემსყიდველისაგან რაიმე დამატებითი შესრულება.

5. შესრულებულ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ წარმოებული სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობას ახორციელებს შემსყიდველის უფლებამოსილი პირი/პირები.

5.2 ხელშეკრულების საგნის მიღება ხდება (როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი) შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით. შესრულებული სამუშაოების (როგორც სრულად, ასევე ნაწილობრივ) მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის მიერ დამოწმებული შესრულებული სამუშაოების მოცულობების აქტის (ფორმა N2) წარმოდგენა, რომლითაც დასტურდება შესრულებული სამუშაოების ხარისხი, მოცულობა, ღირებულება და მათი შესაბამისობა სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან. ასევე ფარული სამუშაოების აქტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დადასტურებული შემსყიდველის ტექნიკური ზედამხედველის მიერ.

5.3. შუალედური მიღება-ჩაბარების აქტები გაფორმდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ შესრულებულ სამუშაოების შესახებ ინფორმაციების გათვალისწინებით, რომლებშიც მხარეთა შეთანხმებით მითითებული იქნება ასანაზღაურებელი და შესაჩერებელი თანხების ოდენობა, არანაკლებ 5%-სა. შეჩერებული თანხების ანაზღაურება მოხდება საბოლოო ანგარიშსწორებისას ან/და შემდგომი შუალედური ანგარიშსწორებისას მიღება-ჩაბარების აქტებში გათვალისწინებული ოდენობით.

5.4. თუ ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი პირის დასკვნით შესრულებული სამუშაოები შეფასდა წუნით, მაშინ სამუშაოები არ ჩაითვლება დასრულებულად წუნდების აღმოფხვრამდე და შესაბამისად არ მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება. წუნდების აღმოფხვრა მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში. იმ შემთხვევაში თუ შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზები გამოვლინდება შესაბამისი დასკვნის მიღების შემდეგ, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე პერიოდში, მაშინ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მხოლოდ ხარვეზების სრულად აღმოფხვრის შემდეგ.

5.5. წუნდებული სამუშაოების აღმოფხვრა დასტურდება 5.2. და 5.3 პუნქტებით დადგენილი წესით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზები აღმოჩნდება სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების გაფორმების შემდგომ, რომლის დროსაც ხარვეზების სრულად აღმოფხვრა უნდა დადასტურდეს ტექნიკური ზედამხედველის დასკვნით.

5.6. შემსყიდველის მხრიდან სამუშაოების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლებია ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

6. სამუშაოების შესრულების ვადა და ადგილი

6.1. მიმწოდებლის მიერ სამუშაოების შესრულება და შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადების დღიდან 60 (სამოცი) კალდენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების დადების დღე მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდის მარჯვენა ზედა მხარეს. ვადის ცვლილების (გაზრდის) საფუძველს არ წარმოადგენს თოვლი, წვიმა და სხვა მსგავსი მეტეოროლოგიური მოვლენები.

სამუშაოების შესრულების დროდ ითვლება ტექ. ზედამხედველის მიერ დადასტურებული ინფორმაციის (ფორმა 2) შემსყიდველთან წარმოდგენის დღე.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: დანართ N1-ში მითითებული ლოკაციები.;

6.3. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. მუხლით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა მხარეთა შეთანხმებით, წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით პირობას, ნებისმიერი მიზეზით შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი მოვალეა მიიღოს ყველა მართლზომიერი ზომა, ვადის დარღვევის აღმოფხვრისათვის, მათ შორის და არა მხოლოდ უზრუნველყოს სამუშაო პროცესი დამატებითი სამუშაო ძალებითა და ტექნიკით.

6.4. იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. მუხლით გათვალისწინებული პირობები წარმოადგენენ ხელშეკრულების არსებით პირობებს, შემსყიდველს გააჩნია შესრულების ვადის დაცვისადმი განსაკუთრებული ინტერესი, მიმწოდებლის მიერ შესრულების ვადის ნებისმიერი მიზეზით დარღვევის შემთხვევაში, უფლება აქვს მთლიანად ან ნაწილობრივ მოშალოს ხელშეკრულება და დარჩენილი სამუშაოების მთლიანად ან ნაწილობრივ შესასრულებლად განახორციელოს ახალი შესყიდვა.

6.5. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს შემსყიდველს სრული ინფორმაცია სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ და დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ანგარიშგების მოთხოვნები.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს:

7.1.1. პირადად ან ტექნიკური ზედამხედველის მეშვეობით შეამოწმოს სამუშაოების მიმდინარეობის შესაბამისობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, მათ შორის ნებისმიერ დროს შეამოწმოს შესრულებული სამუშაოს ხარისხი, ასევე შეამოწმოს გამოყენებული მასალებისა და მოწყობილობების ხარისხი. მათ შორის საკუთარი შეხედულებისამებრ მოიწვიოს დამოუკიდებელი ტექნიკური ზედამხედველი.;

7.1.2. კონტროლის მიზნით, ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის მიერ სამუშაოს წარმოებისას სამუშაო ადგილზე დაშვება;

7.1.3. უარი უთხრას მიმწოდებელს ყველა იმ მოწყობილობის, მასალისა და სამუშაოს გამოყენებაზე, რომელიც არ აკმაყოფილებს ხელშეკრულების მოთხოვნებს;

7.1.4. გამოუქვითოს მიმწოდებელს ნებისმიერი თანხა, რომლის მოთხოვნის უფლება წარმოეშვება წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მიმწოდებელი არ გადაიხდის აღნიშნულ თანხას.

7.2. შემსყიდველი ვალდებულია:

7.2.1. მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების შესაბამისად;

7.2.2. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოების მიღება ამ ხელშეკრულებით დადგენილი პირობების გათვალისწინებით;

7.2.3. უზრუნველყოს მიმწოდებელი სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით, რაც აუცილებელია სახელშეკრულებო ვალდებულების ჯეროვანი შესრულებისათვის;

7.3. მიმწოდებელს უფლება აქვს მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების გათვალისწინებით.

7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

7.4.1. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

7.4.2. შეასრულოს სამუშაოები და ხელშეკრულების პირობები სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, ხელშეკრულების 6.1. მუხლებით გათვალისწინებულ ვადაში.;

7.4.3. გაითვალისწინოს ტექნიკური ზედამხედველის მიერ მითითებული ინსტრუქციები და შენიშვნები.

7.4.4. საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი, ასევე სამუშაოების წარმოების დროს შემსყიდველზე მიყენებული დაზიანებები.

7.4.5. სამუშაოთა დასრულების შემდეგ საკუთარი ხარჯით გაიტანოს ობიექტიდან მანქანები, მექანიზმები და სამშენებლო მოწყობილობა - დანადგარები.

7.4.6. საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ობიექტის დასუფთავება, ყველა ნარჩენის (ნაგავის) მოგროვება და გატანა შემსყიდველთან შეთანხმებით და ამ უკანასკნელის მიერ მითითებულ ადგილას.

7.4.7. გამოიყენოს სამუშაოების შესასრულებლად ხარისხიანი მასალა, დეტალები და მოწყობილობები, იყოს პასუხისმგებელი მათ მიღებაზე, შენახვასა და გამოყენებაზე.

7.4.8. სამუშაოების წარმოების პროცესში ზედმიწევნით დაიცვას მოქმედი წესები და ნორმები, კანონები, დებულებები, ნორმატიული აქტები, ბრძანებები, სათანადოდ უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ინსტრუქციები და ბრძანებები, უსაფრთხოების ტექნიკის, პროფესიონალური უსაფრთხოების წესები, ჯანმრთელობისა და გარემოს დაცვის წესების ჩათვლით, რომლებიც მოქმედებენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის ან შეიძლება იქნან მიღებული უფლებამოსილი ორგანოების მიერ ხელშეკრულების მოქმედების დროს. მიმწოდებელი პასუხს აგებს საკუთარი ქვეკონტრაქტორების მიერ ზემოთაღნიშნული მოთხოვნების დაცვაზე.

7.4.9. სამუშაოების დაწყებამდე წერილობით აცნობოს შემსყიდველს მიმწოდებლის უფლებამოსილი, კომპეტენტური წარმომადგენლის ვინაობის შესახებ, რომელსაც ექნება

მისი სახელით მოქმედების უფლებამოსილება სამუშაოების შესრულებისას. აღნიშნულმა პირმა უნდა უხელმძღვანელოს სამუშაოთა შესრულების პროცესს.

7.4.10. უზრუნველყოს სამუშაოების წარმოება კვალიფიციური, სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო პრაქტიკული გამოცდილების მქონე პერსონალით.

7.4.11. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების წესების, უსაფრთხოების ტექნიკის საკუთარი პერსონალისათვის სწავლება და დაცვა.

7.4.12. 48 საათის განმავლობაში დაითხოვოს სამშენებლო ობიექტიდან პირი, რომელიც წარმოადგენს მიმწოდებლის ან/და ქვეკონტრაქტორის დასაქმებულს, თუ ამას მოითხოვს შემსყიდველი მიზეზის მითითებით, რის შემდეგაც ამ პირს არ უნდა ჰქონდეს არანაირი კავშირი ხელშეკრულებით მითითებული სამუშაოების შესრულებასთან.

7.4.13. საკუთარი ძალებითა და ხარჯით უზრუნველყოს სამშენებლო ობიექტის, ამ ობიექტზე განთავსებული მის საკუთრებაში არსებული ქონების დაცვა.

7.4.14. მიმწოდებელი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, სამუშაოების წარმოების პროცესში, პასუხისმგებელია დანაკლისთან, შემსყიდველის ქონების დაზიანებასთან დაკავშირებულ ყველა რისკზე; იგი პასუხისმგებელია აგრეთვე მისი და/ან შემსყიდველის დასაქმებული პირის/პერსონალის ჯანმრთელობის დაზიანებისა ან გარდაცვალებაზე, რომელიც გამოწვეული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში დამდგარი შემთხვევების შედეგად.

7.4.15. იმის გათვალისწინებით, რომ სახელშეკრულებო ფასი განისაზღვრა მიმწოდებლის მიერ მოწოდებული სატენდერო წინადადებითა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვით, მიმწოდებელი პასუხს აგებს სამუშაოს მსვლელობისას წარმოშობილ ყველა გარემოებასა და პირობებზე, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ღირებულების გაზრდა ან გაართულოს სამუშაო პროცესი უფრო მეტად, ვიდრე გათვალისწინებული იყო ხელშეკრულების დადების დროს. მიუხედავად ასეთი გარემოებების დადგომისა, მიმწოდებელი ვალდებულია დაასრულოს სამუშაო ხელშეკრულების შესაბამისად.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლი და გარანტიები

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირთა ჯგუფი.

8.2. კონტროლი გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობებისა და ყველა ვალდებულების შესრულების მიმდინარეობის კონტროლს.

8.3. გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადა შეადგენს 3 (სამი) წელს.

8.5. საგარანტიო ვადის დენა იწყება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შეწყვეტის მომენტიდან.

8.6. მიმწოდებელი პასუხს აგებს საგარანტიო ვადის ფარგლებში ობიექტის შეუფერხებელ ფუნქციონირებაზე. თუ საგარანტიო ვადის განმავლობაში აღმოჩნდება ობიექტის ნორმალური ექსპლუატაციისათვის ხელის შემშლელი ნაკლი, მიმწოდებელი ვალდებულია დადგინდოს საკუთარი ხარჯით აღმოფხვრას ნაკლი შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადაში.

8.7. მიმწოდებელი თავისი ხარჯითა და რისკით იძლევა გარანტიას:

– გამოყენებული მასალების, კონსტრუქციების, მოწყობილობების და სისტემების სათანადო ხარისხზე. მათ შესაბამისობაზე ხელშეკრულების გათვალისწინებულ პირობებთან, სახელმწიფო სტანდარტებთან და ტექნიკურ პირობებთან, მათ

უზრუნველყოფაზე შესაბამისი სერტიფიკატებით, ტექნიკური პასპორტებით და სხვა ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტებით.

– სამუშაოს ხარისხზე, მის შესაბამისობაზე ხელშეკრულებების პირობებთან, არსებულ ნორმებთან და ტექნიკურ პირობებთან;

– შემსყიდველის მიერ მითითებულ ვადებში ნებისმიერ ნაკლის აღმოფხვრაზე.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. მიმწოდებელს 6.1. მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის (ნული მთელი ერთი მეათედი) ოდენობით, ყველა ვადაგადაცილებულ დღეზე.

9.2. ხელშეკრულების მე-2 თავით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო მიმწოდებელთან ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოების ღირებულების 5%-ის (ხუთი) ოდენობით.

9.3. პირგასამტეხლოს გამოთვლისას არ გამოიანგარიშება 5.4. მუხლით გათვალისწინებული ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა, და შემსყიდველის მიერ გახარჯული სამუშაოების მიღების ვადა.

9.4. მიმწოდებელი ვალდებულია დარიცხული პირგასამტეხლოს თანხა პირგასამტეხლოს დარიცხვის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) საბანკო დღის ვადაში ჩარიცხოს შეტყობინებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე და წარუდგინოს შემსყიდველს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი.

9.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9.6. შემსყიდველს უფლება აქვს პირგასამტეხლოს თანხა, მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების 5.3. მუხლით გათვალისწინებული დაკავებული თანხა დაუკავოს მიმწოდებელს, ხელშეკრულებით კუთვნილი გადასახდელი თანხისაგან, თუ მიმწოდებელი უარს იტყვის მის გადახდაზე ან არ გადაიხდის მას საბოლოო გადარიცხვის განხორციელებამდე.

10. საავანსოდ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის საბანკო გარანტია

10.1. საავანსოდ გადასახდელი თანხის უზრუნველყოფისათვის გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული კომერციული ბანკის ან სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის“ მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული უპირობო გარანტია,

10.2. ავანსის გადახდა შესაძლებელია მხოლოდ მიმწოდებლის მიერ ავანსად გადასახდელი თანხის იდენტური ოდენობის გარანტიის წარმოდგენის შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიმწოდებელი სათანადო წესის დაცვით რეგისტრირებულია სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრში („თეთრი სია“).

10.3 ავანსად გადასახდელი თანხის უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა მინიმუმ 30(ოცდაათი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან.

11.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

11.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის უფლება ძალაში რჩება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგაც.

11.4. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.5. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.6. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ან/და არაჯეროვნად ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რომელიმე ვალდებულებას, ან/და არღვევს წინამდებარე ხელშეკრულების 6.1. მუხლით გათვალისწინებულ ვადას და ასეთი დარღვევის ხანგრძლივობა შეადგენს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეს;

ბ) თუ მიმწოდებელმა სამუშაოები შეაჩერა და არ განაახლა მიუხედავად შემსყიდველის გაფრთხილებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში და ასეთი შეჩერება არ გამომდინარეობდა დაუძლეველი ძალის გარემოებიდან და არ იყო შეთანხმებული შემსყიდველთან;

გ) თუ მიმწოდებელი არ ახდენს ნაკლისა და ხარვეზების აღმოფხვრას შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადაში;

დ) თუ მიმწოდებელი არღვევს ხელშეკრულებაში მითითებულ სამუშაოთა წარმოების წესებს, ინსტრუქციებს და დებულებებს;

ე) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ეს უკანასკნელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ვ) თუ არსებობს კონკრეტული საფრთხე იმისა, რომ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, კერძოდ, თუკი გამოვლინდა, რომ ხელშეკრულების დადებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში მიმწოდებელს არ აქვს დაწყებული ვალდებულებების შესრულების პროცესი ან არის ასეთი დარღვევის საშიშროება, მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გადახდისუუნარობის პროცესი, მიმწოდებლის ან/და მისი ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი ან სპეციალური უფლებამოსილების მქონე პირის მიმართ წინასწარი გამოძიების დაწყება. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ, წინასწარი წერილობითი შეტყობინების გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს ხელშეკრულება.

ზ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

11.7. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11.8. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებლისათვის დარჩენილი თანხის ანაზღაურება განხორციელდება მხოლოდ ექსპერტიზის დასკვნის მოპოვების შემდგომ მისი შედეგების გათვალისწინებით.

11.9. ხელშეკრულების შეწყვეტის ფაქტს წარმოადგენს შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის მის ელექტრონულ მისამართზე (რაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში) შესაბამისი წერილობითი შეტყობინების გაგზავნა. შეტყობინების გაგზავნის მომენტიდან მიმწოდებელს უფლება არ აქვს აწარმოოს სამუშაოები ობიექტზე ან გაიტანოს ობიექტიდან რაიმე მასალები და მოწყობილობები. ექსპერტიზის დასკვნის მოპოვების შემდგომ მხარეებს შორის შედგება შესაბამისი აქტი, სადაც მითითება მისაღები სამუშაოების მოცულობა და ღირებულება, რის

საფუძველზედაც განხორციელდება საბოლოო ანგარიშსწორება. თუ მიმწოდებელი უარს იტყვის აქტზე ხელმოწერაზე, აქტს ხელს აწერს მხოლოდ შემსყიდველი მხარე ტექნიკურ ზედამხედველთან ერთად ან მის გარეშე.

12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

12.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

12.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. ინსპექტირება და გამოცდა

14.1. ტექნიკური ზედამხედველის მეშვეობით ნებისმიერ დროს (საჭიროების შემთხვევაში) განხორციელდება მოწყობილობების, მასალების, სამუშაოების ინსპექტირება.

14.2. ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი, ყველა მასალა, მოწყობილობა და სამუშაო, რომლებიც არ დააკმაყოფილებს სახელშეკრულებო მოთხოვნებს, არ იქნება მიღებული შემსყიდველის მიერ.

14.3. ინსპექტირების შედეგად წუნდებული სამუშაო და მასალები ექვემდებარება რემონტს და/ან შეცვლას, შესაბამისად მიმწოდებელი ვალდებულია დაუყოვნებლივ გაახორციელოს წუნდებული მასალების და მოწყობილობების გატანა ობიექტიდან და შეცვლა ახლით. მასალებისა და მოწყობილობების შეცვლა, რემონტი ხორციელდება შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ ვადებში.

14.4. აუცილებელ შემთხვევაში და გამოცდას, მიმწოდებელი თავის მხრივ ახორციელებს საყოველთაოდ აღიარებული პროცედურებისა და ტექნიკური მახასიათებლების შესაბამისად.

14.5. ნებისმიერი ინსპექტირება და გამოცდა სრულდება იმგვარად, რომ არ გამოიწვიოს სამუშაოს არაგონივრული შეფერხება. შემსყიდველს უფლება აქვს განახორციელოს ნებისმიერი სახის ინსპექტირება ან გამოცდა უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს ინსპექტირებისა და გამოცდების ჩასატარებლად საჭირო ყველა სათავსო, მოწყობილობა და მასალა.

14.6. ინსპექტირება არ ნიშნავს და არ უზრუნველყოფს სამუშაოების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღებას. ნებისმიერი ინსპექტირება ან გამოცდა, ან მათზე უარის თქმა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ვალდებულებების შესრულებისა და პასუხისმგებლობისაგან.

14.7. სამუშაოების საბოლოო დასრულებამდე მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯით შეტყობინების მიღებისთანავე დაიწყოს: რემონტი, შესრულებული სამუშაოების გასწორების პროცესი, შეცვალოს მასალები, მოწყობილობები და ნებისმიერი

ხელშეკრულებიდან გამომდინარე მიღებული შედეგი, მიმწოდებლის მიერ ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო; განახორციელოს აგრეთვე ნებისმიერი სხვა საქონლის, სამუშაოს და მომსახურების შეცვლა/გამოსწორება, რასაც მიაღწა ზიანი ზემოთ ხსენებული ნაკლის გამო.

14.8. თუ მიმწოდებელი გონივრულ ვადებში არ შეასრულებს 14.7. მუხლით გათვალისწინებულ მოვალეობებს, შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს შემდეგ გადაწყვეტილებათაგან ერთ-ერთი:

– ნაკლის გამოსწორება, რემონტი, გადაკეთება, შეცვლა განახორციელოს თვითონ ან მესამე პირის მეშვეობით მიმწოდებლის ხარჯზე. ასეთი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შემსყიდველი მოვალეა შეატყობინოს ამის შესახებ მიმწოდებელს და აცნობოს, რომ ხარჯები შესაძლებელია გამოიქვითოს ხელშეკრულების ღირებულების სახით გადასახდელი თანხიდან, ხოლო ღირებულების გადახდის შემდგომ პერიოდში, იმის აღნიშვნით, რომ მოხდება მოთხოვნის დაყენება მიმწოდებელის მიმართ.

– განახორციელოს ხელშეკრულების ფასის შესაბამისი შემცირება.

– თუ ნაკლი ისეთია, რომ შემსყიდველისათვის არსებითად დაკარგა მნიშვნელობა მთლიანად სამუშაოებმა ან მისმა შედეგებმა ან მათმა ნაწილმა, მას უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს აღნიშნული სამუშაოების შესრულებისათვის გაწეული ნებისმიერი ხარჯის ანაზღაურება.

15. უსაფრთხოების ტექნიკის პირობები

15.1. მიმწოდებელი მთელი სამუშაო პერიოდის მანძილზე პასუხისმგებელია ობიექტზე უსაფრთხოების ტექნიკის ყველა წესების დაცვაზე.

15.2. მიმწოდებელი ვალდებულია პერსონალს ჩაუტაროს პირველადი ინსტრუქტაჟი უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში.

15.3. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პერსონალი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით, ისეთებით, როგორცაა ჩაჩქანი, დამცველი სათვალეები, ხელთათმანები, წაღები, სპეც. ტანსაცმელი და უზრუნველყოს სამუშაო პერიოდში მათი სწორად გამოყენება.

15.4. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ობიექტზე პერსონალის მიერ შრომის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის ინსტრუქციების დაცვაზე.

16. სხვა პირობები

16.1. შემსყიდველი უფლებამოსილია კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით და ტექნიკური ზედამხედველის დასკვნის შესაბამისად, მიმწოდებელთან შეთანხმებით შეიტანოს ცვლილებები პროექტში (ხარჯთაღრიცხვაში) ჩამოთვლილ სამუშაოთა აღწერილობაში.

16.2. შემსყიდველი იტოვებს უფლებას გაზარდოს ან შეამციროს შესასრულებელი სამუშაოების მოცულობა. ასეთი ცვლილებების თაობაზე მხარეები შეთანხმდებიან დამატებით.

16.3. მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მის მიერ მოხმარებული (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ელექტროენერჯის, ბუნებრივი აირის, წყლის, სანდასუფთავების და სხვა კომუნალური მომსახურების ღირებულება.

16.4. სახელშეკრულებო ობიექტზე მიმწოდებელმა უნდა აწარმოოს სამუშაოთა წარმოების ჟურნალი, სადაც ყოველდღიურად ჩაწერს დღიური შესრულებული სამუშაოების მოცულობას, შემსრულებელი პერსონალის მონაცემებს, მექანიზმების ჩამონათვალს, რომელიც მონაწილეობდა სამუშაოს შესრულებაში, ხარისხის დაცვის პროცედურებს და სხვა.

16.5. ტექნიკური ზედამხედველობის განმახორციელებელი ჟურნალში აღნიშნავს თავის შენიშვნებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დაკვირვებებს და რეკომენდაციებს სამუშაოს წარმოების შესახებ.

16.6. ჟურნალში ჩაიწერება დეფექტების შესწორების, დავალებების და გაფრთხილებების ვადები და ინფორმაცია მათი აღმოფხვრის შესახებ.

16.7. მიმწოდებელი ვალდებულია დადგენილი წესით აწარმოოს ფარული სამუშაოების აქტები და წარუდგინოს შემსყიდველს შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაციასთან ერთად.

16.8. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები სრულდება მიმწოდებლის მასალით, რომელიც იქნება ახალი (არა მეორადი), მაღალი ხარისხის და დააკმაყოფილებს თანამედროვე ტექნოლოგიების მოთხოვნებს.

16.9. სამუშაოების პროცესში მიმწოდებელი ვალდებულია მინიმუმამდე დაიყვანოს მუშაობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციისა და მტვრის გავლენა.

16.10. მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16.11. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.12. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

16.13. მხარეებს წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი შეტობინება შეიძლება გაეგზავნოთ მათ ელექტრონულ მისამართზე, რომელიც დაფიქსირებულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ან/და სამეწარმეო რეესტრში. შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნიდან მეორე სამუშაო დღეს.

16.14. ხელშეკრულება შედგენილია და დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით/შტამპით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების ორიგინალს და ინახება მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

მის.: ქ. ქობულეთი, დავით

აღმაშენებლის

გამზ. N141

საინდეტიფიკაციო კოდი: 247001890

მიმწოდებელი:

შპს „გელმარი“

მის.: ფოთი, ჭანტურიას ქ. N2

საიდენტიფიკაციო კოდი: 215108087

ბანკის დასახელება: სს ვი-თი-ბი ბანკი

ჯორჯია

ბანკის კოდი № UGEBGE22

ა/ა GE92 VT06 0000 0005 3036 05

მერი

მირიან ქათამაძე

მირიან ქათამაძე



მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

დირექტორი

გელა ვადაქარია

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გარე განათების მოწყობის ერთიანი ხარჯთაღრიცხვა

#	სოფელი, თემი	ობიექტების მდებარეობა	სახარჯთაღრიცხვო ღირებულება ობიექტების მიხედვით
1	2	3	4
1	სოფელი ალამბარი	ალამბრის ცენტრში გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები	4466.99
2		სოფელ ზედა კონდიდში სოფლის ცენტრში გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები	4757.75
3	სოფელი ბობოყვათი	სოფელ ბობოყვათში ცენტრალურ და შიდა გზებზე გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები	12416.62
4		სოფელ ბობოყვათში (ქვედა დაგვა) ცენტრალურ და შიდა გზებზე გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები	6808.74
5	სოფელი ქაქუთი	სოფელ აჭში ნოდარ ბოლქვაძისა და სალუქვაძეების მიმართულებით გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები	1647.17
6		სოფელ ქაქუთში გოგმაჩაურში გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები	5838.66
7	სოფელ ქობულეთი	სოფელ კობის ცენტრამდე 4 ცალი და ტარიელ გუნთაიშვილის მიმართულებით 6 ცალი გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები	4741.19
ჯამი			40677.11
გაუთვალისწინებელი ხარჯი 2%			813.54
ჯამი			41490.65
დღგ 18%			7468.32
ჯამი			48958.97

შემსყიდველი
ქობულეთის
მუნიციპალიტეტი

მიმწოდებელი
შპს „გელმარი“

ალამბრის ცენტრში გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები

#	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდ-ბა	ერთ-ის ფასი	მთლიანი ღირ-ბა
1	2	3	4	5	6	7
თავი I						
1	კალკულაცია N1	განათების ფარების მონტაჟი	ცალი	9.0		77.04
		მ.შ. ხელფასი	ლარი	9.0	4.56	41.04
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	9.0	4.00	36.00
2	კალკულაცია N2	ელ.სადენებისა და კაბელების მონტაჟი	გრ/მ	350.0		598.50
		მ.შ. ხელფასი	ლარი	350.0	0.63	220.50
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	350.0	1.08	378.00
ჯამი						675.54
		მ.შ. ხელფასი				261.54
თავი I ზედნადები ხარჯები ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების- ხელფასის 75%			75%			196.16
თავი I-ის ჯამი						871.70
თავი II						
სამშენებლო სამუშაოები, მასალები						
	1	განათების ანძების მონტაჟი	ცალი	9.0		2292.30
		მ.შ. ხელფასი	ლარი	9.0	20.00	180.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	9.0	4	36.00
		განათების ანძა d-159 მმ	ცალი	9.0	230.70	2076.30
2		საჰაერო კაბელი 2X10	გრმ	350.0	0.90	315.00
3		სანათი ლედ განათებით 50-60 ვტ-ნი	ცალი	9.0	40.00	360.00
4		საჰაერო კაბელის დამკიმი	ცალი	2.0	4.00	8.00
5		საჰაერო კაბელის მომჭერი	ცალი	18.0	2.00	36.00
6		საჰაერო კაბელის დამკიდი	ცალი	7.0	4.00	28.00
7		სანათის მკვებავი სადენი 2 X2,5	გრ/მ	14.0	1.48	20.72
8		ლითონის ბოძების შეღებვა	ცალი	9.0	8.00	72.00
ჯამი თავი II						3132.02
თავი III ზედნადები ხარჯები			8%			250.56
ჯამი თავი II+III						3382.58
ჯამი თავი I- III						4254.28
თავი IV გეგმიური მოგება			5%			212.71
ჯამი თავი III-IV						4466.99

სოფელ ზედა კონდიდში სოფლის ცენტრში გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები

#	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდ-ბა	ერთ-ის ფასი	მთლიანი ღირ-ბა
1	2	3	4	5	6	7
თავი I						
1	კალკულაცია N1	გამანაწილებელი კარადის მონტაჟი	კომპლექტი	1.0		68.30
		მ.შ. ხელფასი	ლარი	1.0	42.00	42.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	1.0	26.30	26.30
2	კალკულაცია N2	განათების ფარების მონტაჟი	ცალი	10.0		85.60
		მ.შ. ხელფასი	ლარი	10.0	4.56	45.60
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	10.0	4.00	40.00
4	კალკულაცია N3	ელ.სადენებისა და კაბელების მონტაჟი	გრ/მ	255.0		436.05

	მ.შ. ხელფასი	ლარი	255.0	0.63	160.65
	მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	255.0	1.08	275.40
ჯამი					589.95
	მ.შ. ხელფასი				248.25
	თავი I ზედნადები ხარჯები ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების- ხელფასის 75%	75%			186.19
თავი I-ის ჯამი					776.14
Tavi II					
სამშენებლო სამუშაოები, მასალები					
	განათების ანძების მონტაჟი	ცალი	10.0		2547.00
1	მ.შ. ხელფასი	ლარი	10.0	20.00	200.00
	მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	10.0	4	40.00
	განათების ანძა d-159 მმ	ცალი	10.0	230.70	2307.00
	2	საჰაერო კაბელი 2X10 მმ	გრძმ	255.0	0.90
3	ავტომატი	ცალი	3.0	5.00	15.00
4	ელ. გამშვები	ცალი	1.0	40.00	40.00
5	ფოტორელე	ცალი	1.0	11.00	11.00
6	კარადა	ცალი	1.0	30.00	30.00
7	სანათი ლედ განათებით 50-60 ვტ-ნი	ცალი	10.0	40.00	400.00
8	საჰაერო კაბელის დამჭიმი	ცალი	2.0	4.00	8.00
9	საჰაერო კაბელის მომჭერი	ცალი	20.0	2.00	40.00
10	საჰაერო კაბელის დამკიდი	ცალი	8.0	4.00	32.00
11	სანათის მკვებავი სადენი 2 X2,5	გრ/მ	30.0	1.48	44.40
12	ლითონის ბოძების შეღებვა	ცალი	10.0	8.00	80.00
ჯამი თავი II					3476.90
	თავი III ზედნადები ხარჯები	8%			278.15
ჯამი თავი II+III					3755.05
ჯამი თავი I- III					4531.19
	თავი IV გეგმიური მოგება	5%			226.56
ჯამი თავი III-IV					4757.75

**სოფელ ბობოყვათში ცენტრალურ და შიდა გზებზე გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის
სამუშაოები**

#	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომი- ლება	რაოდ- ბა	ერთ-ის ფასი	მთლიანი ღირ-ბა
1	2	3	4	5	6	7
თავი I						
1	კალკულაცია N1	გამანაწილებელი კარადის მონტაჟი	კომპლექტი	1.0		68.30
		მ.შ. ხელფასი	ლარი	1.0	42.00	42.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	1.0	26.30	26.30
2	კალკულაცია N2	განათების ფარების მონტაჟი	ცალი	26.0		222.56
		მ.შ. ხელფასი	ლარი	26.0	4.56	118.56
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	26.0	4.00	104.00
3	კალკულაცია N3	ელ.სადენებისა და კაბელების მონტაჟი	გრ/მ	800.0		1368.00
		მ.შ. ხელფასი	ლარი	800.0	0.63	504.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	800.0	1.08	864.00
ჯამი						1658.86
		მ.შ. ხელფასი				664.56
		თავი I ზედნადები ხარჯები ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების- ხელფასის 75%	75%			498.42

	თავი I-ის ჯამი					2157.28
	თავი II					
	სამშენებლო სამუშაოები, მასალები					
	1	განათების ანძების მონტაჟი	ცალი	26.0		6622.20
		მ.შ. ხელფასი	ლარი	26.0	20.00	520.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	26.00	4	104.00
		განათების ანძა d-159 მმ	ცალი	26.0	230.70	5998.20
	2	საჰაერო კაბელი 2X10	გრძმ	800.0	0.90	720.00
	3	ავტომატი	ცალი	3.0	5.00	15.00
	4	ელ. გამშვები	ცალი	1.0	40.00	40.00
	5	ფოტორელე	ცალი	1.0	11.00	11.00
	6	კარადა	ცალი	1.0	30.00	30.00
	7	სანათი ლედ განათებით 50-60 ვტ-ნი	ცალი	26.0	40.00	1040.00
	8	საჰაერო კაბელის დამჭიმი	ცალი	2.0	4.00	8.00
	9	საჰაერო კაბელის მომჭერი	ცალი	52.0	2.00	104.00
	10	საჰაერო კაბელის დამკიდი	ცალი	24.0	4.00	96.00
	11	სანათის მკვებავი სადენი 2 X2,5	გრ/მ	39.0	1.48	57.72
	12	ლითონის ბოძების შეღებვა	ცალი	26.0	8.00	208.00
	ჯამი თავი II					8951.92
	თავი III ზედნადები ხარჯები		8%			716.15
	ჯამი თავი II+III					9668.07
	ჯამი თავი I- III					11825.35
	თავი IV გეგმიური მოგება		5%			591.27
	ჯამი თავი III-IV					12416.62

სოფელ ბობოყვათში (ქვედა დაგვაში) ცენტრალურ და შიდა გზებზე გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები

#	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდ-ბა	ერთ-ის ფასი	მთლიანი ღირ-ბა
1	2	3	4	5	6	7
თავი I						
1	კალკულაცია N1	გამანაწილებელი კარადის მონტაჟი	კომპლექტი	1.0		68.30
		მ.შ. ხელფასი	ლარი	1.0	42.00	42.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	1.0	26.30	26.30
2	კალკულაცია N2	განათების ფარების მონტაჟი	ცალი	14.0		119.84
		მ.შ. ხელფასი	ლარი	14.0	4.56	63.84
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	14.0	4.00	56.00
3	კალკულაცია N3	ელ.სადენებისა და კაბელების მონტაჟი	გრ/მ	450.0		769.50
		მ.შ. ხელფასი	ლარი	450.0	0.63	283.50
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	450.0	1.08	486.00
	ჯამი					957.64
	მ.შ. ხელფასი					389.34
	თავი I ზედნადები ხარჯები ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების-		75%			292.01
	თავი I-ის ჯამი					1249.65
თავი II						
სამშენებლო სამუშაოები, მასალები						
	1	განათების ანძების მონტაჟი	ცალი	14.0		3565.80
		მ.შ. ხელფასი	ლარი	14.0	20.00	280.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	14.0	4	56.00
		განათების ანძა d-159 მმ	ცალი	14.0	230.70	3229.80
	2	საჰაერო კაბელი 2X10	გრძმ	400.0	0.90	360.00
	3	ავტომატი	ცალი	3.0	5.00	15.00

4	ელ. გამშვები	ცალი	1.0	40.00	40.00
5	ფოტორელე	ცალი	1.0	11.00	11.00
6	კარადა	ცალი	1.0	30.00	30.00
7	სანათი ლედ განათებით 50-60 ვტ-ნი	ცალი	14.0	40.00	560.00
8	საჰაერო კაბელის დამჭიმი	ცალი	2.0	4.00	8.00
9	საჰაერო კაბელის მომჭერი	ცალი	30.0	2.00	60.00
10	საჰაერო კაბელის დამკიდი	ცალი	13.0	4.00	52.00
11	სანათის მკვებავი სადენი 2 X2,5	გრ/მ	22.5	1.48	33.30
12	ლითონის ბოძების შეღებვა	ცალი	14.0	8.00	112.00
ჯამი თავი II					4847.10
თავი III ზედნადები ხარჯები		8%			387.77
ჯამი თავი II+III					5234.87
ჯამი თავი I- III					6484.51
თავი IV გეგმიური მოგება		5%			324.23
ჯამი თავი III-IV					6808.74

სოფელ აჭში ნოდარ ბოლქვაძისა და სალუქვაძეების მიმართულებით გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები

#	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდ-ბა	ერთ-ის ფასი	მთლიანი ღირ-ბა
1	2	3	4	5	6	7
თავი I						
1	კალკულაცია N1	გამანაწილებელი კარადის მონტაჟი	კომპლექტი	1.0		68.30
		მ.შ. ხელფასი	ლარი	1.0	42.00	42.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	1.0	26.30	26.30
2	კალკულაცია N2	განათების ფარების მონტაჟი	ცალი	3.0		25.68
		მ.შ. ხელფასი	ლარი	3.0	4.56	13.68
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	3.0	4.00	12.00
3	კალკულაცია N3	ელ.სადენებისა და კაბელების მონტაჟი	გრ/მ	100.0		171.00
		მ.შ. ხელფასი	ლარი	100.0	0.63	63.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	100.0	1.08	108.00
ჯამი						264.98
		მ.შ. ხელფასი				118.68
თავი I ზედნადები ხარჯები ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების-ხელფასის 75%			75%			89.01
თავი I-ის ჯამი						353.99
თავი II						
სამშენებლო სამუშაოები, მასალები						
1		განათების ანძების მონტაჟი	ცალი	3.0		764.10
		მ.შ. ხელფასი	ლარი	3.0	20.00	60.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	3	4	12.00
		განათების ანძა დ-159 მმ	ცალი	3.0	230.70	692.10
2		საჰაერო კაბელი 2X10 მმ	გრმმ	100.0	0.90	90.00
3		ავტომატი	ცალი	3.0	5.00	15.00
4		ელ. გამშვები	ცალი	1.0	40.00	40.00
5		ფოტორელე	ცალი	1.0	11.00	11.00
6		კარადა	ცალი	1.0	30.00	30.00
7		სანათი ლედ განათებით 50-60 ვტ-ნი	ცალი	3.0	40.00	120.00
8		საჰაერო კაბელის დამჭიმი	ცალი	1.0	4.00	4.00
9		საჰაერო კაბელის მომჭერი	ცალი	6.0	2.00	12.00

10	საჰაერო კაბელის დამკვიდი	ცალი	2.0	4.00	8.00
11	სანათის მკვებავი სადენი 2 X2,5	გრ/მ	4.5	1.48	6.66
12	ლითონის ბოძების შეღებვა	ცალი	3.0	8.00	24.00
ჯამი თავი II					1124.76
თავი III ზედნადები ხარჯები		8%			89.98
ჯამი თავი II+III					1214.74
ჯამი თავი I- III					1568.73
თავი IV გეგმიური მოგება		5%			78.44
ჯამი თავი III-IV					1647.17

სოფელ ქაქუთში გოგმაჩაურში გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები

#	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდ-ბა	ერთ-ის ფასი	მთლიანი ღირ-ბა
1	2	3	4	5	6	7
თავი I						
1	კალკულაცია N1	არმატურის კონსტრუქციის მონტაჟი	ცალი	28.0		445.20
		მ.შ. ხელფასი	ლარი	28.0	10.60	296.80
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	28.0	5.30	148.40
2	კალკულაცია N2	გამანაწილებელი კარადის მონტაჟი	კომპლექტი	1.0		68.30
		მ.შ. ხელფასი	ლარი	1.0	42.00	42.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	1.0	26.30	26.30
3	კალკულაცია N3	განათების ფარების მონტაჟი	ცალი	28.0		239.68
		მ.შ. ხელფასი	ლარი	28.0	4.56	127.68
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	28.0	4.00	112.00
4	კალკულაცია N4	ელ.სადენებისა და კაბელების მონტაჟი	გრ/მ	700.0		1197.00
		მ.შ. ხელფასი	ლარი	700.0	0.63	441.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	700.0	1.08	756.00
ჯამი						1950.18
		მ.შ. ხელფასი				907.48
თავი I ზედნადები ხარჯები ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების-ხელფასის 75%			75%			680.61
თავი I-ის ჯამი						2630.79
თავი II						
სამშენებლო სამუშაოები, მასალები						
1		არმატურის კონსტრუქცია	ცალი	28.0	13.29	372.12
2		საჰაერო კაბელი 2X16	გრმმ	693.0	1.21	838.53
3		ავტომატი	ცალი	3.0	5.00	15.00
4		ელ. გამშვები	ცალი	1.0	40.00	40.00
5		ფოტორელე	ცალი	1.0	11.00	11.00
6		კარადა	ცალი	1.0	30.00	30.00
7		სანათი ლედ განათებით 50-60 ვტ-ნი	ცალი	28.0	40.00	1120.00
8		საჰაერო კაბელის დამკვიდი	ცალი	6.0	4.00	24.00
9		საჰაერო კაბელის მომჭერი	ცალი	56.0	2.00	112.00
10		საჰაერო კაბელის დამკვიდი	ცალი	22.0	4.00	88.00
11		სანათის მკვებავი სადენი 2 X2,5	გრ/მ	42.0	1.48	62.16
ჯამი თავი II						2712.81
თავი III ზედნადები ხარჯები		8%				217.02
ჯამი თავი II+III						2929.83

	ჯამი თავი I- III					5560.62
	თავი IV გეგმიური მოგება		5%			278.03
	ჯამი თავი III-IV					5838.66

სოფელ კოხის ცენტრამდე 4 ცალი და ტარიელ გუნთაიშვილის მიმართულებით 6 ცალი გარე განათების ახალი წერტილების მოწყობის სამუშაოები

#	საფუძველი	სამუშაოს დასახელება	განზომილება	რაოდ-ბა	ერთ-ის ფასი	მთლიანი ღირ-ბა
1	2	3	4	5	6	7
თავი I						
1	კალკულაცია N1	გამანაწილებელი კარადის მონტაჟი	კომპლექტი	1.0		68.30
		მ.შ. ხელფასი	ლარი	1.0	42.00	42.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	1.0	26.30	26.30
2	კალკულაცია N2	განათების ფარების მონტაჟი	ცალი	10.0		85.60
		მ.შ. ხელფასი	ლარი	10.0	4.56	45.60
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	10.0	4.00	40.00
3	კალკულაცია N3	ელ.სადენებისა და კაბელების მონტაჟი	გრ/მ	250.0		427.50
		მ.შ. ხელფასი	ლარი	250.0	0.63	157.50
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	250.0	1.08	270.00
ჯამი						581.40
		მ.შ. ხელფასი				245.10
		თავი I ზედნადები ხარჯები ელექტრო-სამონტაჟო სამუშაოების- ხელფასის 75%	75%			183.83
თავი I-ის ჯამი						765.23
თავი II						
სამშენებლო სამუშაოები, მასალები						
		განათების ანძების მონტაჟი	ცალი	10.0		2547.00
	1	მ.შ. ხელფასი	ლარი	10.0	20.00	200.00
		მ.შ. მანქანა-მექანიზმი	ლარი	10.0	4	40.00
		განათების ანძა d-159 მმ	ცალი	10.0	230.70	2307.00
	2	საჰაერო კაბელი 2X10	გრმმ	250.0	0.90	225.00
	3	ავტომატი	ცალი	3.0	5.00	15.00
	4	ელ. გამშვები	ცალი	1.0	40.00	40.00
	5	ფოტორელე	ცალი	1.0	11.00	11.00
	6	კარადა	ცალი	1.0	30.00	30.00
	7	სანათი ლედ განათებით 50-60 ვტ-ნი	ცალი	10.0	40.00	400.00
	8	საჰაერო კაბელის დამჭიმი	ცალი	2.0	4.00	8.00
	9	საჰაერო კაბელის მომჭერი	ცალი	20.0	2.00	40.00
	10	საჰაერო კაბელის დამკიდი	ცალი	8.0	4.00	32.00
	11	სანათის მკვებავი სადენი 2 X2,5	გრ/მ	30.0	1.48	44.40
	12	ლითონის ბოძების შეღებვა	ცალი	10.0	8.00	80.00
ჯამი თავი II						3472.40
		თავი III ზედნადები ხარჯები	8%			277.79
ჯამი თავი II+III						3750.19
ჯამი თავი I- III						4515.42
		თავი IV გეგმიური მოგება	5%			225.77
ჯამი თავი III-IV						4741.19

შემსყიდველი
ქობულეთის მუნიციპალიტეტი

მიმწოდებელი
შპს „გელმარი“